№19
(10930)
31.V - 6.VI.1995 წ.
ფასი 600 რუბლი, ან 175 000 კუპონი.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



სურათებზე: მომენტი განვლილი მატჩიდან; ფეხბურთში საქართველოს 1995 წლის თასის მფლობელი თბილისის „დინამო“. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



## საქართველოს თასის მეხუთე გათამაშების ფინალი

26 მაისი. თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 15.000 მაყურებელი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი) 1-0.

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), გ. ხეჩუაშვილი (კასპი), მ.ჯულაყიძე (სამტრედია).

„დინამო“ (თბ.): ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, კიკნაძე, ნემსაძე (ლ. ყოფიანი), ჯამარაული (დემეტრაძე), იაშვილი, ქინქლაძე, ცქიტიშვილი; დინამო (ბთ.): ბალაძე, გოგიტიძე, ფუტკარაძე (მუჯირი), ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე მაჭუტაძე ტუღუში, უჯმაჯურიძე, კაწტიძე (ხომერიკი).

გოლი: დემეტრაძე.

გააფრთხილეს: ლობჟანიძე, მაჭავარიანი, შეყილაძე, მ. მახარაძე.

## ისევ დუბლი?...

ფინალურ მატჩში, როგორც შარშაწწინ, პირისპირ თბილისელი და ბათუმელი თანაკლუბელები წარსდგნენ და მათი დუელი კვლავ თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა.

არადა, აჭარელმა ფეხბურთელებმა გაცილებით მეტი სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან და თუ მათ ეს გადამწყვეტი შეხვედრა მაინც წააგეს, მიზეზები უფრო ალბათ გადაულახავ „თბილისელთა სინდრომში“ უნდა ვეძიოთ.

მატჩის დასაწყისშივე თბილისელთა ისედაც დასუსტებულმა შემადგენლობამ კიდევ ერთი სერიოზული დანაკლისი განიცადა: ტრავმის გამო მინდორი ჯამარაულმა დატოვა და, ალბად, ბათუმელებმა შვებითაც ამოისუნთქეს: გოჩა ხომ თავისი ამპლუით რგოლებს შორის მთავარი დამაკავშირებელია. მატჩის ბედი სწორედ ჯამარაულის ნაცვლად გამოსული დემეტრაძის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა. ეს მოხდა 27-ე წუთზე, როდესაც მარცხენა ფრთიდან ცქიტიშვილის მიერ ბათუმელთა საჯარიმოში ჩაწოდებულმა ბურთმა ადრესატი — დემეტრაძე მოძებნა. ამ უკანასკნელის მიერ ტექნიკურად შესრულებული დარტყმა უნაკლო გამოდგა, 1-0. გაშვებული გოლის შემდეგ აჭარელი ფეხბურთელები შედარებით გააქტიურდნენ. მოუმატეს თუ არა ტემპს, მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო პირველი ტაიმის მიწურულს თბილისელთა კართან განვითარებული მოვლენები. ჯერ იყო და საკმაოდ სახიფათოდ დაარტყა საჯარიმო თორლაშვილმა: ბურთი მცირე მანძილით აცდა კარს. შემდეგ, მეკარესთან პირისპირ გასულმა უჯმაჯურიძემ როგორღაც „მოახერხა“ კარის ძელისთვის მოერტყა ბურთი.

ასეთივე სცენარით წარიმართა მატჩის მეორე ნახევარი:

ძირითადში უტევდნენ ბათუმელები, თბილისელები სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდნენ. სასიხარულოა, რომ ტრავმის გამო ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მოედანზე კვლავ ვიხილეთ გიორგი ქინქლაძე. მართალია, ჯერჯერობით იგი შორს არის ჩვეული სპორტული ფორმისაგან, მაგრამ იმედია უელსთან მატჩს მზადყოფნაში შეხვდება. იმედით შევყურებთ გიორგი ნემსაძესაც, რომელიც ასევე ნელ-ნელა დგება მწყობრში.

მაშ ასე, მიუხედავად გუნდის შემადგენლობის ძირეული გახალგაზრდავებისა, დავით ყიფიანის შეგირდები დამსახურებულად დაეუფლნენ თასს, ხოლო 31 მაისს, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში, ალბად, ყველაფერს გააკეთებენ, რათა მათთვის ჩვეული დუბლი გაიმეორონ.

რედაქციისაგან: ეროვნული თასის ფინალი ფეხბურთში ყველა ქვეყანაში და ყოველთვის საყოველთაო ინტერესს იწვევს და არა მარტო თვით ამ ქვეყნის გულშემატკივრებში. ჩვენ უკვე ევროპა შემოგვცქერის, მათაც აინტერესებთ ვინ დაიცავს ჩვენი ფეხბურთის პრესტიჟს ევროტურნირებში. ვერ ვიტყვით, რომ თასის ფინალმა ჩვენი ეროვნული ფეხბურთის საკადრის დონეზე ჩაიარა. არა გვგონია ულიმღამო თამაშის მთავარი მიზეზი მხოლოდ ის სიცხიანი დღე იყო...

ჩემპიონთა ლიგა

## მაშ ასე: თასი — „აიაქსს“!

ამ დღეს მოუთმენლად მოელოდა მთელი საფეხბურთო სამყარო — ევროპაც, აზიაც, ამერიკაც, აფრიკაც, ავსტრალიაც...

ავსტრიის დედაქალაქი პირველად არ მასპინძლობდა ჩემპიონთა თასის ფინალურ შეხვედრას, ასეთი თამაშები აქ უკვე გაიმართა 1964, 1987, 1990, 1994 წლებში. ამიტომაც ვენას სათანადო გამოცდილება არ აკლია, იგი მზად იყო უამრავი სტუმრის მისაღებად და უმაღლესი პრესტიჟის შესანარჩუნებლად.

[illegible]ვათა შორის, „მილანი“ და „აიაქსი“ 1969 წელს ერთხელ უკვე უშუალოდ შეხვდნენ ერთმანეთს სწორედ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მადრიდის სტადიონზე, მილანელთა უპირატესობა აშკარა იყო, მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 4-1. 3 ბურთი გაიტანა პრატიმ („ჰეთ-თრიკი“), ერთი — სორმანიმ, ჰოლანდიელთაგან ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო ვასოვიჩი (პენალტი კრუიფის წინაალმდეგ უხეში თამაშისათვის).

საინტერესოა, რომ ამჟამინდელ გათამაშებაში „აიაქსი“ და „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის ერთ ქვეჯგუფში („დ“) მოხვდნენ, ამსტერდამელებმა შინაც გაიმარჯვეს და მილანშიც, ანგარიში ორივეჯერ ერთნაირი იყო — 2-0.

ახლა საერთო უპირატესობა პირველ ტაიმში „მილანს“ ჰქონდა, ხოლო მეორეში — „აიაქსს“, განსაკუთრებით მას მერე, რაც მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა მინდორზე შემცვლელებად გამოიყვანა აგრესიული ახალგაზრდები კლიუვერტი და კანუ, გოლი კი კლიუვერტმა გაიტანა 85-ე წუთზე. „აიაქსმა“ მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა ლიგის თასი.

## ნანა ალექსანდრია ისევ ბრწყინავს

სანკტ-პეტერბურგის საჭადრაკო ფესტივალი ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავს მიეძღვნა. მთავარ ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა, საკმაოდ ძლიერმა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი. ვაჟებში გამარჯვება მოიპოვა ადგილობრივმა დიდოსტატმა ალექსანდრე ხალიფმანმა, რომელმაც 7 ქულა დააგროვა (9-დან). ნახევარი ქულით ჩამორჩა მას ასევე ნევისპირელი დიდოსტატი ილდარ იბრაჰიმოვი. ქალებში უძლიერესი იყო ნანა ალექსანდრია (საქართველო), იუნიორებში კი ალექსანდრე გალკინი (რუსეთი).

## ვულოცავთ

ამ დღეებში საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს რადიოს 70 წლისთავი. ვულოცავთ რადიოს ყველა მუშაკს, ვულოცავთ სპორტულ გადაცემათა რედაქციის ყველა თაობას, ხოლო მის შესანიშნავ წარმომადგენელს, ჩვენი სპორტული სამყაროს ერთგულ მეგობარს თამილა კახიძეს მაღალ ჯილდოს „ღირსების ორდენით“ დაჯილდოებას.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უელსი — საქართველო

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, 6-7 ივნისს საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები გუნდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს გამართავენ უელსის ნაკრებ გუნდებთან.

ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, 1 ივნისიდან საქართველოს ეროვნული ნაკრები ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით ხანმოკლე მოსამზადებელ შეკრებას გაივლის „დინამოს“ დიღმის სპორტულ ბაზაზე. გამოძახებულია 16 ფეხბურთელი:

მეკარეები — აკაკი დევაძე („როსტსელმაში“, რუსეთი), ირაკლი ზოიძე („დინამო“ თბილისი);

მცველები — გიორგი ჩიხრაძე („ტემპი“, უკრაინა), კახი ცხადაძე („აინტრახტი“, გერმანია), მურთაზ შელია („სპარტაკი“, ვლადიკავკაზი), დიმიტრი კუდინოვი („არისი“, კვიპროსი), ბესიკ ბერაძე („დინამო“, თბილისი), გელა ინალიშვილი („ტენის-ბორუსია“, გერმანია).

ნახევარმცველები — გიორგი ნემსაძე („დინამო“, თბილისი), გოჩა ჯამარაული („დინამო“, თბილისი), გიორგი ქინქლაძე („დინამო“, თბილისი), გიორგი ღუდუშაური („ფსვ სალმჰორი“, გერმანია), კახი გოგიჩაიშვილი („სამტრედია“).

თავდამსხმელები — თეიმურაზ ქეცბაია („აეკ“, საბერძნეთი), შოთა არველაძე („ტრაბზონსპორი“, თურქეთი), მიხეილ ყაველაშვილი („სპარტაკი“, ვლადიკავკაზი).

საქართველოს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა მადლობას უძღვნის სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტების“ კოლექტივსა და მის ხელმძღვანელს დავით ზუბიტაშვილს, რომლის ქველმოქმედების წყალობითაც შესაძლებელი გახდა ჩვენი ნაკრები გუნდების გამგზავრება შორეულ უელსში.

## კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი
## პირველი ზღუდე დაძლეულია

ბირმინგემში (ინგლისი) დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ჯგუფური ტურნირი, რომელშიც გამოდიოდნენ ინგლისის, პოლონეთის, უელსის, დანიის, ლუქსემბურგისა და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდები. ჩვენმა კალათბურთელებმა საკმაოდ წარმატებით იასპარეზეს, მოიგეს სამი ბრძოლა დანიასთან, უელსთან, ლუქსემბურგთან, დათმეს მხოლოდ ორი (პოლონეთთან, ინგლისთან) და ჩემპიონატის მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. გულდაჯერებით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს გუნდმა დასახულ მიზანს წარმატებით გაართვა თავი.

სამწუხარო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: 84 წლისა გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ყოფილი მთავარი მწვრთნელი

გავრილ დიმიტრის ძე
კაჩალინი

### სამბო

## თოთხმეტი მედალი: ერთი „ოქრო“, ხუთი „ვერცხლი“ და რვა „ბრინჯაო“

მინსკი. აქ დამთავრდა 1995 წლის ევროპის ჩემპიონატი სამბოში ჭაბუკებს, ახალგაზრდებსა და მოზრდილებს შორის. საქართველოს ათლეტებმა სამთავე თანრიგში იასპარეზეს და საერთო ჯამში 14 საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. გუნდურ შეჯიბრებაში ჩვენი ჭაბუკები მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ, ახალგაზრდები და მოზრდილები — მეოთხეზე.

მოზრდილები. 5 მედალი, აქედან ორი ვერცხლის და სამი ბრინჯაოსი. მამუკა ჯანანაშვილი (82 კგ, კასპი, „შევარდენი“) — II ადგილი, ივანე გამხიტაშვილი (90 კგ, კასპი, „შევარდენი“) — II ადგილი, მურთაზ თურქია (62 კგ, ფოთი, „შევარდენი“), ჯონდო მუზაშვილი (74 კგ, მცხეთა, თავდაცვის სამინისტრო) და იოსებ ახალბედაშვილი (100 კგ, გორი, „შევარდენი“) — III ადგილები.

ახალგაზრდები: 5 მედალი, აქედან ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოსი. გიორგი გოჩელაშვილი (62 კგ. ქუთაისი, თავდაცვის სამინისტრო), ომარ მეტრეველი (74 კგ. ხაშური, „შევარდენი“) — II ადგილები. ნესტორ ხერგიანი (57 კგ. მესტია, „შევარდენი“), ლაშა ფიფია (82 კგ. ზუგდიდი, „შევარდენი“) და გიორგი ჩუბინიძე (+ 100 კგ. თბილისი, „შევარდენი“) — III ადგილები.

ჭაბუკები: 4 მედალი, აქედან ერთი ოქროსი, ერთი — ვერცხლისა და ორიც — ბრინჯაოსი. მიხეილ ფალაშვილი (70 კგ. კასპი, „შევარდენი“) — I ადგილი. ალექსანდრე ბოლქვაძე (87 კგ. თბილისი, „შევარდენი“) — II ადგილი, ზვიად წოწკოლაური (56 კგ. რუსთავი, „შევარდენი“) და კობა კეკელიძე (60 კგ. ფოთი, „დინამო“) — III ადგილები.

### ევროპის ჩემპიონატი



სამბისტთა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები მოზრდილებში. მარცხნიდან — მურთაზ თურქია, ჯონდო მუზაშვილი, მამუკა ჯანანაშვილი, ივანე გამხიტაშვილი, იოსებ ახალბედაშვილი და ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში მიხეილ ფალაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარწმუნებული ვართ, დღეს გამოქვეყნებული მასალების შემდეგ ბევრს გაუჩნდება სინანულის გრძნობა იმისა, რომ საკადრისად არ ვაფასებდით და ჯერაც ვერ ვაფასებთ მძლეოსნობას — მსოფლიოში ყველაზე მასობრივ სპორტის სახეობას. და თუ დღეს, ჩვენს პლანეტაზე, ვინმე თავს იწონებს „სპორტის დედოფლით", ამის პრეტენზია ჩვენს პატარა ქვეყანასაც გააჩნია.

საქართველოს მსოფლიოს მძლეოსნობის სამყაროში



# პირველად იყო რბენა

მძლეოსნობა, უფრო ზუსტად კი მისი ცალკეული სახეობები ანტიკური ოლიმპიადების პროგრამის მთავარ ნაწილს შეადგენდა. პირველი ჩვენთვის ცნობილი ოლიმპიური თამაშები გაიმართა 776 წელს ძველი წელთაღრიცხვით. პროგრამაში იყო რბენა ერთ სტადიაზე. ცნობილია გამარჯვებულის გვარიც — ეს გახლავთ ელიდელი მზარეული კორები.

XIV ოლიმპიადიდან მოყოლებული (724 წელი) პროგრამაში გვხვდება ორმაგი რბენა. XV ოლიმპიადაზე (720 წელი) მძლეოსნურ პროგრამას დაემატა რბენა გრძელ მანძილზე.

მოკლე რბენა, როგორც წესი, იმართებოდა ერთ სტადიაზე. სტადია სტადიონის სარბენი ბილიკის სიგრძეს ნიშნავდა და დაახლოებით 192 მეტრს შეადგენდა. ამ რბენას დრომოსს უწოდებდნენ.

ორმაგი რბენის დროს ათლეტს ორჯერ უნდა გაერბინა ბილიკზე, ჯერ ერთი, მერე კი უკანა მიმართულებით, ე. ი. სპორტსმენს დასაძლევი ჰქონდა დაახლოებით 385 მეტრი. ამ რბენას დიაულოსს უწოდებდნენ.

გრძელი რბენის დისტანცია 24 სტადიას ანუ დაახლოებით 4,5 კილომეტრს შეადგენდა. ამ რბენას დოლიხოსი ერქვა.



ლევან სანაძე (მარცხნივ) ესტაფეტას იღებს ვლადიმერ სუხარევისაგან.

# ყველაზე მასობრივი

1952 წლიდან მოყოლებული 10 ოლიმპიურ თამაშებში საქართველო 20 მძლეოსნითაა წარმოდგენილი, რაც ჩვენი სპორტისთვის სარეკორდო მაჩვენებლად ითვლება. მეტი სიცხადისათვის და სხვა სახეობებთან შედარების მიზნით გთავაზობთ ნაკრებ ცხრილს, რომელშიც ნაჩვენებია ოლიმპიადებში მონაწილე საქართველოს სპორტსმენთა რაოდენობა სახეობების მიხედვით.

| | |
|---|---|
| მძლეოსნობა | 20 |
| თავ. ჭიდაობა | 19 |
| ძიუდო | 14 |
| ბერძნ-რომ. ჭიდ. | 12 |
| კალათბურთი | 11 |
| ცურვა | 9 |
| ფარიკაობა | 8 |
| ფეხბურთი | 8 |
| წყალბურთი | 5 |
| ტყვიის სროლა | 5 |
| წყალში ხტომა | 5 |
| თხილამ. ტრამპ. ხტომა | 5 |
| ველოსპორტი | 4 |
| ძალოსნობა | 4 |
| მშვილდოსნობა | 3 |
| ტანვარჯიში | 2 |
| ხელბურთი | 2 |
| სტენდი | 2 |
| კრივი | 2 |
| ჩოგბურთი | 2 |
| ციგაობა | 2 |
| სამთო თხილ. | 2 |
| ფრენბურთი | 1 |
| საბაიდ. ნიჩბოსნობა | 1 |
| წყლის სლალომი | 1 |
| თან. ხუთჭიდი | 1 |
| სინქრ. ცურვა | 1 |
| აფროსნობა | 1 |

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ოლიმპიურ თამაშებში სულ მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს 152 სპორტსმენს (143 ზაფხულის თამაშების მონაწილეა, 9 — ზამთრისა), მაგრამ იმის გამო, რომ ზოგი ოლიმპიელი თამაშებში ორჯერ, სამჯერ და მეტჯერაც არის გამოსული, მონაწილეთა ფაქტობრივი რაოდენობა უფრო მცირეა და 117 სპორტსმენს შეადგენს. ანალოგიურად მცირდება მძლეოსანთა რაოდენობაც თხუთმეტამდე, მაგრამ სპორტის ეს სახეობა ამ კუთხითაც რეკორდსმენად რჩება — 15 ფაქტობრივი მონაწილე.

# ევროპის სარბიელზე

**1946** წლის **22-25** აგვისტო. ოსლო (ნორვეგია), „ბიშლეტის" სტადიონი. ევროპის რიგით მესამე ჩემპიონატი მძლეოსნობაში და პირველი ოფიციალური საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებმა მოსინჯეს ძალები. მონაწილეთა შორის იყო ორი ქართველი — ელენე გოკიელი და ნინო დუმბაძე, რომლებმაც შინ ჩემპიონატის სამი მედალი ჩამოიტანეს. ელენე გოკიელს 80 მეტრზე თარჯრბენში ვერცხლის მედალი ერგო (**11,9**), ესტაფეტაში **4X100** მეტრზე კი ე.სეჩენოვასთან, ვ.ფოკინასა და ვ.ვასილიევასთან ერთად — ბრინჯაოს ჯილდო (**48,7**). ამ ასპარეზობაში ნინო დუმბაძემ ოქროს მედალი მიიღო ბადროს ტყორცნაში გამარჯვებისთვის — **48,7** მ.

**1950 წელი.** ევროპის IV ჩემპიონატი. **23-27** აგვისტო, ბრიუსელი: ბადროს ტყორცნა. ნინო დუმბაძე. I ადგილი — **48,3** მ.

**4X100** მ. ესტაფეტა. ვაჟები. ვ.სუხარევი, ლ.კალიაევი, ლ.სანაძე, ნ.კარაკულოვი. I ადგილი — **41,5.**

**4X100** მ. ესტაფეტა. ქალები. ს.მალშინა, ზ.დუხოვიჩი, ე.გოკიელი, ე.სეჩენოვა. III ადგილი — **47,5.**

**1954 წელი.** ევროპის V ჩემპიონატი. **25-29** აგვისტო, ბერნი.

**4X100**მ. ესტაფეტა. ვაჟები. ბ.ტოკარევი, ვ.რიაბოვი, ლ.სანაძე, ლ.ბარტენიევი. III ადგილი — **40,9.**

**1962 წელი.** ევროპის VII ჩემპიონატი. **12-16** სექტემბერი. ბელგრადი. სიმაღლეზე ხტომა. რობერტ შავლაყაძე. III ადგილი — **2,09** მ.

**1969 წელი.** ევროპის IX ჩემპიონატი. **16-21** სექტემბერი. ათენი. სამხტომი. ვიქტორ სანეევი. I ადგილი — **17,34** მ.

**1971 წელი.** ევროპის X ჩემპიონატი. **10-15** აგვისტო, ჰელსინკი. სამხტომი. ვიქტორ სანეევი. II ადგილი — **17,10** მ.

**1974 წელი.** ევროპის XI ჩემპიონატი. **1-8** სექტემბერი. რომი. სამხტომი. ვიქტორ სანეევი. I ადგილი — **17,23** მ.

**1978 წელი.** ეროპის XII ჩემპიონატი. **28** აგვისტო-**3** სექტემბერი. პრაღა. სამხტომი. ვიქტორ სანეევი. II ადგილი — **16,93** მ.



ნადეჟდა დვალიშვილი — ორი ოლიმპიური თამაშების (XV და XVI) პრიზიორი.

# რეკორდები, რეკორდსმენები

მძლეოსნობის საერთაშორისო ცნობარში საქართველოს სპორტსმენთა მიერ დამყარებული შვიდი მსოფლიო რეკორდია რეგისტრირებული — სამი ბადროს ტყორცნაში, სამი — სამხტომში და ერთი ქალთა ესტაფეტაში 4X100 მ (აქ, საქართველოს წარმომადგენელი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაშია დასახელებული). მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს რეკორდები არ იყო მეტი. ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგები საქართველოს მძლეოსნებს ნაჩვენები აქვთ ჯერ კიდევ 20-იან წლებში, მაგრამ იმის გამო, რომ სსრკ მძლეოსნობის ფედერაცია არ იყო გაწევრიანებული საერთაშორისო ორგანიზაციაში, ამ შედეგების ოფიციალურ რეკორდებად, ბუნებრივია, არ ამტკიცებდნენ.

პირველი მძლეოსანი ჩვენი რესპუბლიკიდან, რომელმაც მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი აჩვენა, იყო ივანე სერგეევი, რომელმაც 1925 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში წითელი არმიის საკავშირო პირველობაზე ხელყუმბარა ტყორცნა 75,80 მეტრზე. იმ პერიოდისათვის ამერიკელი მძლეოსნის ტომპსონის ოფიციალური მსოფლიო რეკორდი 74,92 მეტრს უდრიდა.

1936 წლის 27 ოქტომბერს თბილისში ქართული მძლეოსნური სპორტის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა დიმიტრი იოსელიანმა ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში დასძლია 3 მეტრი და 48,5 სანტიმეტრი, რაც 1 სანტიმეტრით აღემატებოდა ამერიკელი ევრის მიერ 1912 წელს ნაჩვენებ შედეგს.



ადგილიდან სიმაღლეზე ხტომა. ქართული მძლეოსნური სპორტის ერთ-ერთი პიონერი დიმიტრი იოსელიანი.

იმ პერიოდში ქართველ სპორტსმენთა უმაღლესი მიღწევები, უმთავრესად, ნაჩვენები იყო მძლეოსნობის არაკლასიკურ, ნაკლებად გავრცელებულ სახეობებში. ამდენად ნინო დუმბაძის მიერ 1939 წლის 18 სექტემბერს მოსკოვში ოსტატთა საკავშირო შეჯიბრებაზე დამყარებულ რეკორდს ბადროს ტყორცნაში (49 ბ. 11 სმ) მძლეოსნობის ისტორიაში ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდა. ნინო დუმბაძემ ამის შემდეგ კიდევ ექვსჯერ აჩვენა მსოფლიოს რეკორდზე უკეთესი შედეგი, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ სამი მათგანი დაფიქსირდა ოფიციალურ მსოფლიო რეკორდად, ვინაიდან სსრ კავშირის მძლეოსნობის სექცია სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წევრი 1947 წელს გახდა.

მაშ ასე, ინფორმაცია საქართველოს მძლეოსანთა მსოფლიო რეკორდზე.

1948 წლის 8 აგვისტო. მოსკოვი. ბადროს ტყორცნა. ნინო დუმბაძე — 53,25 მ. (ძველი რეკორდი ეკუთვნოდა გერმანელ გ. მაუერმაიერს — 48,3 სმ და დამყარებული იყო 1936 წლის 11 ივლისს დრეზდენში).

1951 წლის 27 მაისი. გორი. ბადროს ტყორცნა. ნინო დუმბაძე — 53,37 მ (ძველი რეკორდი მასვე ეკუთვნოდა).

1952 წლის 18 ოქტომბერი. თბილისი. ბადროს ტყორცნა. ნინო დუმბაძე — 57,04 მ (ძველი რეკორდი ეკუთვნოდა მოსკოველ ნ. პონომარიოვას — 53,61 მ და დამყარებული იყო 1952 წლის 9 აგვისტოს ოდესაში).

1953 წლის 20 სექტემბერი. ბუდაპეშტი. ქალთა ესტაფეტა 4X100 მ. სსრ კავშირის ნაკრები (ვ. კალაშნიკოვა, ზ. სოფრონოვა, ო. ტუროვა, ნ. დვალიშვილი) — 45,6 (ძველი რეკორდი ეკუთვნოდა გფრ-ს ნაკრებს — 45,9 და დამყარებული იყო 1952 წლის 27 ივლისს ჰელსინკში).

1968 წლის 17 ოქტომბერი. მეხიკო. სამხტომი. ვიქტორ სანეევი — 17,23 მ. (ძველი რეკორდი ეკუთვნოდა იტალიელ ჯ. ჯენტილეს — 17,22 მ და დამყარებული იყო იმავე დღეს).

1968 წლის ოქტომბერი, მეხიკო. სამხტომი. ვიქტორ სანეევი. 17,39 მ (ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ბრაზილიელ ნ. პრუდენსიოს — 17,27 მ და დამყარებული იყო იმავე დღეს).

1972 წლის 17 ოქტომბერი. სოხუმი. სამხტომი. ვიქტორ სანეევი — 17,44 მ (ძველი რეკორდი ეკუთვნოდა კუბელ ჯ. პერესს — 17,40 მ და დამყარებული იყო 1971 წლის 5 აგვისტოს კალიში).



მაია აზარაშვილი — სეულის ოლიმპიადის პრიზიორი.





საიდა გუმბა — ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი.

1995 წლის 1 ივნისს 14 საათზე თბილისის ჟურნალისტთა სახლში (ერეკლეს მოედანი) გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

თუ თქვენ გსურთ დაამზადოთ საუკეთესო, ვიმეორებთ, მხოლოდ საუკეთესო ხარისხის და მხატვრულად გამორჩეული ფერადი სავიზიტო ბარათები, სატიტულო ბლანკები, პირადობის მოწმობები (ლამინირებით), მოსაწვევი თუ მისალოცი ბარათები (ქართულ და უცხოურ ენებზე), აგრეთვე ბეჭდები და შტემპელები, მოგვმართეთ გაზეთ „ლელოს" კომერციულ სამსახურს.
ვიმეორებთ, ხარისხი გარანტირებულია.
მისამართი: კოსტავას 14, „ლელოს" რედაქცია.
ტელეფონი: 99-56-14. შიდა ტელეფონი 7-50



მოსკოვი. საკავშირო ჩემპიონატი. ელენე გოკიელი (მარცხნივ) 80 მეტრზე თარჯრბენის დისტანციაზე.



ჰელსინკი. XV ოლიმპიადა. პრიზიორთა სამეული ბადროს ტყორცნაში (მარცხნიდან: ე. ბაგრიანცევა, ნ. პონომარიოვა, ნ. დუმბაძე, სამივე — სსრკ).

# IAAF

მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია (IAAF) შეიქმნა 1912 წელს სტოკჰოლმში ავსტრიის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, გერმანიის, საბერძნეთის, დანიის, ეგვიპტის, კანადის, ნორვეგიის, რუსეთის, აშშ-ს, ფინეთის, საფრანგეთის, ჩილესა და შვეციის წარმომადგენელთა თაოსნობით. ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი სპორტული ორგანიზაციაა მსოფლიოში, რომელიც ორასზე მეტ ეროვნულ ფედერაციას აერთიანებს. მუშაობას იააფ-ი წარმართავს 6 ზონაში — ევროპა, აზია, აფრიკა, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია-ოკეანია.

ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. ყველა სადავო შემთხვევაში ძირითად ენად ინგლისური ითვლება. შტაბ-ბინა მდებარეობს ლონდონში.

1970 წელს იააფ-ის ჩარჩოში შეიქმნა ევროპის ასოციაცია EAA, რომელსაც ჰყავს თავისი პრეზიდენტი, აქვს შტაბ-ბინა და ხელმძღვანელი ორგანოები.

იააფ-ის უმაღლესი ორგანოა კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ: პრეზიდენტი, საპატიო მდივანი, საბჭოს წევრები და არაუმეტეს 3-3 დელეგატისა თითო ქვეყნიდან. იააფ-თან დაკავშირებული ორგანიზაციებია: მძლეოსნობის სტატისტიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია, მძლეოსნობის მწვრთნელთა საერთაშორისო ასოციაცია და მძლეოსნობის მწვრთნელთა ევროპის ფედერაცია.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტია იტალიელი პრიმო ნებიოლი, გენერალური მდივანი — უნგრელი იშტვან დიულა.



წამიც და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი დაფიქსირებს თავის მორიგ წარმატებას.

## თითო მონაწილე მაინც

იმ ათ ოლიმპიადაში, რომლებშიც საბჭოთა კავშირის სპორტსმენები გამოსულან, საქართველოს წარმომადგენლებიც ფიგურირებენ, ცხადია, სხვადასხვა წელს, სხვადასხვა ოდენობით. ყველაზე ბევრი მონაწილე — ოთხი სპორტსმენი — საქართველოს გამოყვანილი ჰყავს ჰელსინკში, რომსა და მეხიკოში, აი, როგორია ჩვენი სპორტსმენების წარმომადგენლობა სხვადასხვა თამაშებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1952. | ჰელსინკი. | XV | -4 |
| 1956. | მელბურნი. | XVI | -1 |
| 1960. | რომი | XVII | -4 |
| 1964. | ტოკიო | XVIII | -1 |
| 1968. | მეხიკო | XIX | -4 |
| 1972. | მიუნხენი. | XX | -1 |
| 1976. | მონრეალი. | XXI | -1 |
| 1980. | მოსკოვი. | XXII | -2 |
| 1988. | სეული | XXIV | -1 |
| 1992. | ბარსელონა | XXV | -1 |

## რომელ სახეობას რამდენი?

მძლეოსნები ამბობენ და სხვათა შორის, არც თუ უსაფუძვლოდ, რომ საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიურ წარმატებებში ლომის წილი სწორედ მათ აქვთ შეტანილი. მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის ასეთ განცხადებას ფაქტობრივი დადასტურება სჭირდება, რასაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილით გთავაზობთ. მაშ ასე, სპორტის რომელ სახეობას რამდენი პრიზიორი ჰყავს ათი ოლიმპიადის მანძილზე?

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| თავ. ჭიდაობა | 6 | 4 | 5 |
| მძლეოსნობა | 4 | 3 | 4 |
| ბერძნ-რომ. ჭიდაობა | 4 | 1 | 4 |
| კალათბურთი | 2 | 5 | 4 |
| ძიუდო | 3 | 2 | 6 |
| ფარიკაობა | 2 | — | 2 |
| ძალოსნობა | 2 | 2 | — |
| ტანვარჯიში | 2 | — | — |
| ტყვიის სროლა | 1 | 2 | — |
| ხელბურთი | 1 | 1 | — |
| ფეხბურთი | 1 | — | 5 |
| მშვილდოსნობა | 1 | — | 1 |
| ნიჩბოსნობა | 1 | — | — |
| ფრენბურთი | 1 | — | — |
| წყალბურთი | — | 2 | 2 |
| ცურვა | — | — | 1 |
| ტრეკი | — | — | 1 |
| წყ. ხტომა | — | — | 1 |
| თან. ხუთჭიდი | — | — | 1 |
| კრივი | — | — | 1 |
| ჩოგბურთი | — | — | 1 |
| სულ | 31 | 22 | 39 |



ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში რობერტ შავლაყაძე ხტომებს შორის შესვენების დროს.

# პრიზიორები და დანარჩენები

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე საქართველოს ოც მძლეოსანს მიღებული აქვს ოთხი ოქროს, სამი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი.

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| ვ. სანეევი | 3 | 1 | — |
| რ. შავლაყაძე | 1 | — | — |
| ლ. სანაძე | — | 1 | — |
| ს. გუნბა | — | 1 | — |
| ნ. დვალიშვილი | — | — | 2 |
| ნ. დუმბაძე | — | — | 1 |
| მ. აზარაშვილი | — | — | 1 |

ახლა უფრო კონკრეტული ინფორმაცია საქართველოს ოლიმპიელებზე.

**ვიქტორ სანეევი.** სამხტომი. 1968 წელი. მეხიკოს XIX ოლიმპიადა. I ადგილი — 17,39 მ (მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდი); 1972 წელი. მიუნხენის XX ოლიმპიადა. I ადგილი — 17,35 მ; 1976 წელი. მონრეალის XXI ოლიმპიადა. I ადგილი — 17,29 მ. 1980 წელი. მოსკოვის XXII ოლიმპიადა. II ადგილი — 17,24 მ.

**რობერტ შავლაყაძე.** სიმაღლეზე ხტომა. 1960 წელი. რომის XVII ოლიმპიადა. I ადგილი — 2,16 მ.; 1964 წელი. ტოკიოს XVIII ოლიმპიადა. V ადგილი — 2,14 მ.

**ლევან სანაძე.** ესტაფეტა 4X100 მ. 1952 წლის ჰელსინკის XV ოლიმპიადა. (სსრკ ნაკრების შემადგენლობა: ბ. ტოკარევი, ლ. კალიაევი, ლ, სანაძე, ვ. სუხარევი). II ადგილი — 40,3; რბენა 200 მ. მეოთხედფინალში IV ადგილი — 22,1; რბენა 100 მ. გარბენში III ადგილი — 10,8.

**საიდა გუნბა.** შუბის ტყორცნა. 1980 წელი. მოსკოვის XXII ოლიმპიადა. II ადგილი — 67,76 მ.

**ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი.** 1952 წელი. ჰელსინკის XV ოლიმპიადა. რბენა 200 მ. III ადგილი — 24,2; რბენა 100 მ. ნახევარფინალში IV ადგილი — 12,1. ესტაფეტა 4X100 მ. — IV ადგილი; 1956 წელი. მელბურნის XVI ოლიმპიადა. სიგრძეზე ხტომა. III ადგილი — 6,07 მ.

**ნინო დუმბაძე.** ბადროს ტყორცნა. 1952 წელი. ჰელსინკის XV ოლიმპიადა. III ადგილი — 46,29 მ.

**მაია აზარაშვილი.** 1988 წელი. სეულის XXIV ოლიმპიადა. ესტაფეტა 4X100 მ. III ადგილი. რბენა 200 მ. VII ადგილი — 22,33.

**ელენე გოკიელი.** 80 მ. თარჯრბენი. 1952 წელი. ჰელსინკის XV ოლიმპიადა. ნახევარფინალში IV ადგილი — 11,1.

**ალექსანდრე შჩერბინა.** 50 კმ. სპორტული სიარული. 1960 წელი. რომის XVII ოლიმპიადა. IV ადგილი — 4:31.44,0

**რევაზ ქვაჩაკიძე.** სიგრძეზე ხტომა. 1960 წელი. რომის XVII ოლიმპიადა. ვერ შეასრულა საკვალიფიკაციო ნორმატივი.

**იური დიაჩკოვი.** ათჭიდი. 1960 წელი. რომის XVII ოლიმპიადა. გამოეთიშა ასპარეზობას. 8 სახეობის შემდეგ ჰქონდა 5803 ქულა.

**ლიუდმილა იევლევა.** 80 მ. თარჯრბენი. 1968 წელი. მეხიკოს XIX ოლიმპიადა. გარბენში IV ადგილი — 10,9.

**გურამ გუდაშვილი.** ბადროს ტყორცნა. 1968 წელი. მეხიკოს XIX ოლიმპიადა. ვერ შეასრულა საკვალიფიკაციო ნორმატივი.

**იგორ დელა-როსა.** სპორტული სიარული 50 კმ. 1968 წელი. მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები. დისტანცია ვერ დაამთავრა. 10 კმ. გაიარა 52.38,8-ში.

**ოლეგ სტრიჟაკოვი.** რბენა 10 კმ. 1992 წელი. ბარსელონის XXV ოლიმპიადა. გარბენში მე-12 ადგილი. ვერ მოხვდა ფინალში.

# თაობათა ესტაფეტა



მიხეილ კალაძე

სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია, რთულ პრობლემებთან ეულად შეჭიდებული ზრუნავს ჩვენში „სპორტის დედოფლის" გადასარჩენად. დიახ, გადასარჩენად, რადგან სპორტის ბევრმა სახეობამ უკვე იწვნია კრახი, ზოგიც მხოლოდ ფორმალურად ირიცხება ოდინდელ საპატიო გრძელ სიაში და სადაცაა მათაც დაუდგება „გედის სიმღერის" ჟამი.

ეროვნული სპორტული ტრადიციების და, საერთოდ, სპორტის სახეობების შენარჩუნება მხოლოდ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე არ არის დამოკიდებული. უნარიანი თავკაცი იმდენს გაირჯება, იმდენს იზამს, საქმეს არ გააცივებს.



ქეთინო აბრამიძე

კიდევ კარგი ასეთები ჩვენშიც არიან და სპორტს მათ ხელში სიკვდილი არ უწერია. ბოლოს და ბოლოს ღირსებას და ავტორიტეტს არ შეილახავენ. მძლეოსნებს რესპუბლიკაში ნამდვილად ჰყავს პატრონი (ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე), თანადგომა კი უფრო უცხოეთიდან აქვთ; იააფი საქართველოს სპორტული ტალანტების ქვეყნად მიიჩნევს და ჩვენს ფედერაციასთან ურთიერთობის ამოსავალი წერტილიც ეს არის. ჯერჯერობით ორივე მხარე კმაყოფილია. ჩვენი ფედერაცია სისტემატიურად მართავს შეჯიბრებებს, სადაც ყველაზე უკეთ მოჩანს რთულ პირობებში მუშაობის შედეგები, ყველაზე სასიამოვნო მაინც ისაა, როცა „ახალი" რეგიონის წარმომადგენლებიც გამოჩნდებიან ხოლმე სარბიელზე.

ამ დღეებში თბილისში მძლეოსნობის ფედერაციის თასი გათამაშდა, პარალელურად მოეწყო პირველობა სპორტსაზოგადოებებს შორის („მართვე", „შევარდენი"). ეს არ იყო დასაძრახი პარალელიზმი, პირიქით, ხარჯებიც დაიზოგა, დროც და ერთ ფოკუსშიც ყველაფერი უკეთ წარმოჩნდა. გასახარი კი ისიც იყო, რომ ვანელებმა გაგვაცნეს თავი. მას შემდეგ, რაც ვანში ახალგაზრდა სპეციალისტმა ვალერი როხვაძემ დაიწყო მუშაობა, ეს რაიონი მძლეოსნობის ერთ-ერთ საიმედო კერად იქცა საქართველოში. თავად განსაჯეთ, რესპუბლიკის ნაკრებში ვანიდან ახლა რვა ბავშვია ჩარიცხული — ქეთინო აბრამიძე უკვე უძლიერესია რესპუბლიკაში



ირინა ძებისაშვილი

**800 და 1500** მეტრზე რბენაში (ზემოაღნიშნული შეჯიბრებაც მან მოიგო). ეს გოგონა ჯერ მხოლოდ **14** წლისაა და თუ ასე გულმოდგინედ ივარჯიშებს, უდავოდ დიდი მომავალი მოელის. თასის გათამაშებაში **400** მ. რბენაში საუკეთესო შედეგი **(57,8)** აჩვენა ირინა ძებისაშვილმა, ბირთვის კვრაში — მიხეილ კალაძემ **(16,75)**. ორივე სპორტსმენმა ყველაზე საიმედოდ შეასრულა ევროპის ჭაბუკთა ოლიმპიურ დღეებში მონაწილეობისათვის საჭირო ნორმატივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი XXIX ტური

„კახეთი“ (თელავი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0-0
„სამგურალი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (თბილისი) 0-7
„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1-4
„დინამო“ (ზუგდიდი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 4-3
„მეტალურგი“ (რუსთავი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 0-0
„ივერია“ (ხაშური) — „დინამო“ (ბათუმი) 1-2
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 7-0
„დილა“ (გორი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 0-0

ტურის ცენტრალური შეხვედრა რუსთავში გაიმართა. მოგების შემთხვევაში სამტრედიელებს უკვე შეეძლოთ საჩემპიონო ბანკეტზე ზრუნვა, მაგრამ მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მებრძოლი სული გამოავლინეს და ჩემპიონატის ლიდერთან საპატიო ფრეს მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ „სამტრედიამ“ მატჩის მიწურულში შეძლო გოლის გატანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა, ქარელელმა გ. ასკარ-ოღლიმ თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა (როგორც ვიდეოჩანაწერის ნახვის შედეგად გაირკვა, ლაინსმენი სწორი ყოფილა). ამასობაში თბილისის „დინამოელებმა“ წყალტუბოში გამანადგურებელი ანგარიშით სძლიეს აუტსაიდერს — „სამგურალს“, რამაც ისინი პირველ ადგილზე გადმოიყვანა.

ბოლო, XXX ტურში თბილისელებიც და სამტრედიელებიც შინ ითამაშებენ და შესაბამისად თელავის „კახეთსა“ და ზუგდიდის „დინამოს“ მიიღებენ.

თუ ჩემპიონობის საკითხის გამოვლენა 31 მაისამდე გადაიდო, უკვე გაირკვა ის ორი უიღბლო გუნდი, რომელთაც მძიმე ხვედრი ხვდათ — დატოვონ პირველი ჯგუფი. ესენია: წყალტუბოს „სამგურალი“ და თერჯოლის „საპოვნელა“. მართალია იმერეთს პირველ ჯგუფში ორი გუნდი დააკლდა, მაგრამ აქვს შანსი ნაწილობრივ გამოასწოროს მდგომარეობა: ეს იმ შემთხვევაში, თუ ტყიბულის „მეშახტემ“, მეორე ჯგუფის დასავლეთ ზონაში რომ გამოდის, უკან ჩამოიტოვა სენაკის „ეგრისი“. რაც შეეხება მეორე საგზურს, აღმოსავლეთ ზონაში მასზე ძირითად პრეტენზიებს ახალციხის „მესხეთი“ და ბოლნისის „სიონი“ აცხადებენ.

### გათამაშების ცხრილი ბოლო ტურის წინ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 29 | 24 | 3 | 2 | 118-32 | 75 |
| „სამტრედია“ (სამტრედია) | 29 | 24 | 2 | 3 | 72-21 | 74 |
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 29 | 20 | 3 | 6 | 72-28 | 63 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 29 | 15 | 6 | 8 | 66-40 | 51 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 29 | 14 | 2 | 13 | 58-47 | 44 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 29 | 12 | 8 | 9 | 48-34 | 44 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 29 | 13 | 4 | 12 | 54-51 | 43 |
| „დილა“ (გორი) | 29 | 10 | 6 | 13 | 25-35 | 36 |
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) | 29 | 9 | 6 | 14 | 31-51 | 33 |
| „ივერია“ (ხაშური) | 29 | 9 | 4 | 16 | 40-54 | 31 |
| „კახეთი“ (თელავი) | 29 | 7 | 10 | 12 | 36-52 | 31 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 29 | 8 | 5 | 16 | 36-81 | 29 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 29 | 7 | 8 | 14 | 31-46 | 29 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 29 | 8 | 3 | 18 | 26-61 | 27 |
| „საპოვნელა“ (თერჯოლა) | 29 | 6 | 6 | 17 | 34-76 | 24 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 29 | 5 | 6 | 18 | 30-68 | 21 |

P.S. 24 მაისს გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელმაც განაგრძო თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობის პროტესტის (11 მაისის მატჩი „დინამო“ ზუგდიდი — „დინამო“ თბილისი) განხილვა. საბოლოოდ საჩივარი არ მიიღეს, ვინაიდან იგი არ იყო სათანადოდ არგუმენტირებული. ხონელი არბიტრის თ. მაჭარაძის საკითხი განსახილველად გადაეცა მსაჯთა კომიტეტს. მატჩის ანგარიში 2-2 ძალაში დარჩა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## მარადონა ბრაზილიას მიემგზავრება

საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას განცხადებამ, რომ მას ბრაზილიაში სურს გადასვლა და სან-პაულუს „სანტოსში“ თამაში. სწორედ იმ კლუბში, სადაც წლების განმავლობაში გამოდიოდა თვით პელე.

ცნობა, უდავოდ, სენსაციურია. პელე ამჟამად ბრაზილიის სპორტის მინისტრია, მაგრამ კვლავინდებურად „სანტოსის“ დირექტორის პოსტზე იმყოფება. იგი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მარადონას, შეხვდა მას რიო-დე-ჟანეიროში და „სანტოსის“ მოთამაშე-მწვრთნელის პოსტი შესთავაზა. ბრაზილიაში ახლა შესაფერის ბინას ეძებენ არგენტინელი ფეხბურთელისათვის.

პელე-მარადონას მოლაპარაკებას უმაღლესი პოლიტიკური პირებიც გამოეხმაურნენ, კერძოდ, არგენტინის პრეზიდენტი კარლოს მენემი, მარადონას ძველი მეგობარი მხარს უჭერს ამ ამბავს, გარდა ამისა, მარადონას ბრაზილიაში გადასვლას მოწონებით შეხვდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო ავლანჟი.

პელეს კომპანიას „სპორტი და მარკეტინგი“ განზრახული აქვს 10 მილიონი დოლარი გადაიხადოს მთელი ამ გარიგების საფასურად. მარადონას წლეულს ოქტომბერში უთავდება დისკვალიფიკაცია, შემდეგ მან ორი წელიწადი უნდა ითამაშოს „სანტოსში“ და სარეკლამო საქმიანობაც გასწიოს.

● ინგლისი. დამთავრდა ქვეყნის წლევანდელი საშინაო სეზონი, გათამაშდა სამივე უმთავრესი შეჯიბრება.

ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ბლეკბერნ როვერსმა“, რომელმაც სულ ერთი ქულით (89) გაუსწრო „მანჩესტერ იუნაიტედს“, მესამე ადგილზეა „ნოტინგემი“ (77). ბოლო ორ ადგილზე გავიდნენ „იფსვიჩ თაუნი“ და „ლესტერ სიტი“.

ლიგის თასი მოიპოვა „ლივერპულმა“, ხოლო ინგლისის ეროვნული თასის ფინალში „ევერტონმა“ ანგარიშით 1-0 დაამარცხა „მანჩესტერ იუნაიტედი“.

● საფრანგეთი. პირველი ადგილი დაიკავა „ნანტმა“, ხოლო თასი „პარი სენ-ჟერმენმა“ მოიპოვა, რომელმაც ფინალში მოუგო „სტრასბურგს“ — 1-0.

● შოტლანდია. ქვეყნის ჩემპიონობა, უკვე ზედიზედ მეშვიდედ წილად ხვდა „გლაზგო რეინჯერსს“, რომელმაც დიდი განსხვავებით (69 ქულა) გაუსწრო „მოდერუელს“ (54), მესამე ადგილზეა „ჰიბერნიანი“ (53). ბოლო ადგილზე გავიდა „დანდი იუნაიტედი“.

● ჰოლანდია. ჩემპიონია ამსტერდამის „აიაქსი“ (57 ქულა), ვერცხლი წილად ხვდა „როდას“ (51), ბრინჯაო — „ეინდჰოვენს“ (45).

● პორტუგალია. ოქროს მედლის მფლობელი გახდა „პორტო“, რომელმაც განვლილ ტურში დაამარცხა „ბოავიშტა“ — 4-2.

● იტალია. სულ ახლახან, უეფას თასის გათამაშების ფინალში, ერთმანეთს შეხვდა იტალიის ორი გუნდი „პარმა“ და „იუვენტუსი“. მაშინ ორი მატჩის ჯამში (1-0 და 1-1) საპატიო პრიზს პარმელი ფეხბურთელები დაეუფლნენ. ამის შემდეგ ეს გუნდები კვლავ მეტოქეობდნენ ერთმანეთს, ამჯერად უკვე იტალიის ჩემპიონატში, თანაც „იუვენტუსი“ პირველ ადგილზე იმყოფებოდა, „პარმა“ — მეორეზე.

მოელოდნენ დაძაბულ ბრძოლას, მაგრამ ამის ნაცვლად მინდორზე მხოლოდ ერთი გუნდი ბატონობდა — „იუვენტუსი“, რომლის გამარჯვებას ძნელია რევანში უწოდო. ეს სრული განადგურება იყო — 4-0. „იუვენტუსმა“ გათამაშების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა იტალიის ჩემპიონის წოდება.

● ბელგია. ქვეყნის ჩემპიონობა ოცდამეოთხედ მოიპოვა ბრიუსელის „ანდერლეხტმა“.

● ესპანეთი. აქაც ძველი ჩემპიონია ამავე როლში: დედაქალაქის „რეალ-მადრიდი“

## ბერნარ ტაპი — საპყრობილეში

ამ დღეებში საფრანგეთში შედგა სასამართლო სხდომა ცნობილი მილიონერის ბერნარ ტაპის საკითხის განსახილველად, მას ბრალად დაედო მარსელის „ოლიმპიკის“ საფეხბურთო კლუბის მოწინააღმდეგეთა მოსყიდვა. მაგრამ ბერანარ ტაპი მარტოდ არ არის. მას გვერდში უსხედან თანამზრახველებიც. სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო:

ბერნარ ტაპი — ორი წლის საპყრობილე, რომელთაგან ერთი წელი პირობითია, და ჯარიმა 180 ათასი ფრანკი.

ჟან-პიერ ბურნესი — ორი წლის პირობითი საპატიმრო და 15 ათასი ფრანკი ჯარიმა.

ჟან-ჟაკ ეიდელი — ერთი წლის პირობითი პატიმრობა და 10 ათასი ფრანკი ჯარიმა.

ხორხე ბურუჩაგა — წლინახევრის პირობითი პატიმრობა და 5 ათასი ფრანკი ჯარიმა.

კრისტოფერ რობერი — ნახევარი წლის პირობითი პატიმრობა და 5 000 ფრანკი ჯარიმა.

მარი-კრისტინ რობელი — 3 თვის პირობითი პატიმრობა.

## მეგობრის ცრემლი



65 წლისა გარდაიცვალა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ტანვარჯიშში, სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ოთარ ქორქია.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზაღზრდის კათედრის უფროს მასწავლებლად, პარალელურად სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეთა გუნდი წარმატებით ასპარეზობდა უნივერსიადებში, 1962 წელს კი ჩემპიონიც გახდა.

უნარიანი, საქმის მცოდნე და პრინციპული სპეციალისტი 1965 წელს გადაიყვანეს საქართველოს სპორტკომიტეტში სახელმწიფო მწვრთნელად. წლების მანძილზე ავარჯიშებდა რესპუბლიკის ნაკრებს. 1982 წლიდან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრას ხელმძღვანელობდა. 1988 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. ბოლო სამი წლის მანძილზე კი ამ კათედრის უფროსი მასწავლებელი იყო.

ვალმოხდილი, ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან ბატონი ოთარი, წავიდა და თან გაიყოლა მეგობრების, კოლეგებისა და ახლობლების გულისტკივილი.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი

## რა ხდება ქვეყანაზე

● „ტურ დე ფრანსის“ ოთხგზის ჩემპიონმა, ესპანელმა მიგელ ინდურაინმა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა საგზატკეცილო ველორბოლაში, იტალიელმა ჯანი ბუნიომ იმისთვის, რომ უკეთ მომზადებულიყვნენ საფრანგეთის ტურისთვის, უარი თქვეს „ჯირო დ' იტალიაში“ მონაწილეობაზე. მათ სავარჯიშოდ „ასტურიის ტური“ აირჩიეს, რომელიც განთქმულია სამთო ეტაპებით. ორივე სუპერვარსკვლავს მიაჩნია, რომ მთავარი მეტოქე „ტურ დე ფრანსში“ შვეიცარიელი ტონი რომინგერი იქნება.

● ნბა-ში დაასახელეს სეზონის საუკეთესო ახალბედა კალათბურთელები. პრიზები მიიღეს „დალასის“ მცველმა ჯეისონ კიდმა და „დეტროიტის“ თავდამსხმელმა გრანტ ჰილმა.

● ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის „ნოტინგემ ფორესტის“ დამრიგებელი ფრენკ კლარკი თავის ქვეყანაში წლის საუკეთესო მწვრთნელად ცნეს. მან ტრადიციულ კონკურსში აჯობა „ბლეკბერნის“ (ჩემპიონი) და „მანჩესტერ იუნაიტედის“ (მეორე პრიზიორი) მწვრთნელებს კენი დალგლიშსა და ალექს ფერგიუსონს.

## სახეიროს ვერაფერს გთავაზობთ

### თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. ფრიბურგი (შვეიცარია). 11-14 მაისი.

48 კგ. 1. ვ. ორუჯევი (რუსეთი), 2. ლ. ოვარი (უნგრეთი), 3. ვ. ჟეფტენი (უკრაინა).

52 კგ. 1. ნ. აბდულაევი (აზერბაიჯანი), 2. მ. თოფკაკასი (თურქეთი), 3. ი. ცონევი (ბულგარეთი).

57 კგ. 1. ა. ფიდაროვი (უკრაინა), 2. ს. ბარზაკოვი (ბულგარეთი), 3. ა. აბდულაევი (აზერბაიჯანი).

62 კგ. 1. ა. აზიზოვი (რუსეთი), 2. ი. შეიბე (გერმანია), 3. ს. სმალი (ბელარუსი).

68 კგ. 1. ვ. ბოგიევი (რუსეთი), 2. ი. სანლი (თურქეთი), 3. ა. გევორქიანი (სომხეთი).

74 კგ. 1. ა. ლეოპოლდი (გერმანია), 2. ტ. ქეილანი (თურქეთი), 3. ნ. გაჯიხანოვი (რუსეთი).

82 კგ. 1. მ. იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი), 2. ს. გუბრინიუკი (უკრაინა), 3. რ. კატინოვასოვი (რუსეთი).

90 კგ. 1. მ. ხადარცევი (რუსეთი), 2. ე. კურტანიძე (საქართველო), 3. მურთაზალიევი (უკრაინა).

100 კგ. 1. დ. მუსულბესი (რუსეთი), 2. მ. მაზაჩი (სლოვაკია), 3. ა. საბიევი (გერმანია).

130 კგ. 1. მ. დემირი (თურქეთი), 2. მ. ვალიევი (უკრაინა), 3. ლ. ხაბელოვი (რუსეთი).

სიიდან ნათლად ჩანს, რომ რუსეთი კვლავაც არ თმობს ლიდერის პოზიციას. ორ ქვედა წონას თუ არ მივიღებთ მხედველობაში (52 და 57 კგ.), ამ ქვეყანას ყველა წონაში ჰყავს თითო პრიზიორი. ძალთა ერთგვარი გადაჯგუფება მოხდა ლიდერთა რიგებში. თურქეთი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა საჭიდაო ელიტას ისევე, როგორც უკრაინა და აზერბაიჯანი. აი ბულგარეთში, ბელარუსსა და განსაკუთრებით საქართველოში შეიმჩნევა კრიზისული სიტუაცია, რამაც, სამწუხაროდ, ჩვენში ქრონიკული ხასიათი მიიღო.

საქართველოს სპორტსმენებს რომ უჭირთ ეკონომიკურად, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. ისიც ყველასათვის ცნობილია, რომ ზოგიერთმა ამის გამო დატოვა საქართველო და უცხოეთში წავიდა „სამუშაოდ“. მაგრამ რაც დაგვრჩა, ისიც ერთობ უფეროლად გამოიყურება და ეს არის ცუდი. ყოველ შემთხვევაში ბოლო დროს, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გამოდის მხოლოდ ელდარ კურტანიძე, რომელმაც ფრიბურგშიც გამოიჩინა თავი და პირველობა დათმო აშკარა ფავორიტთან — მახარბეკ ხადარცევთან.

საქართველოს გუნდის ორი დანარჩენი მონაწილე კი ათეულშიც ვერ მოხვდა. დავით ხურცია (82 კგ) მესამე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას, თამაზ ყულოშვილი კი (52 კგ) ერთი წრით ადრე.

ტრადიციულად გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც მოცემულია ქვეყნების მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობა:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | - | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | - | 1 |
| თურქეთი | 1 | 3 | - |
| უკრაინა | 1 | 2 | 2 |
| გერმანია | 1 | 1 | 1 |
| ბულგარეთი | - | 1 | 1 |
| საქართველო | - | 1 | - |
| უნგრეთი | - | 1 | - |
| სლოვაკეთი | - | 1 | - |
| ბელარუსი | - | - | 1 |
| სომხეთი | - | - | 1 |

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

## კრიმინალური ქრონიკა

● კიევის საქალაქო სასამართლო ამ დღეებში განიხილავს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონის (მძიმე წონაში) ალექსანდრ კოლჩინსკის ადვოკატთა აპელაციას. როგორც ცნობილია, ორი თვის წინ ცნობილ სპორტსმენს ბანდიტობისთვის მიუსაჯეს 7 წლით პატიმრობა მკაცრი რეჟიმის პირობებში და ქონების კონფისკაცია. არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ ადვოკატებს აქვთ ოლიმპიური ჩემპიონის უდანაშაულობის დამადასტურებელი მასალები და ამიტომაც საქმეს სასამართლო დააბრუნებს ხელახალი ძიებისათვის.

● ბულგარეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ქვეყნის ყოფილი ლიდერის, 84 წლის ტოდორ ჟივკოვის სიძე ივან სლავკოვი შინაპატიმრობაში იმყოფება. მას ბრალად ედება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კუთვნილი სახსრების მითვისება და გაფლანგვა. არადა, ამ დღეებში სლავკოვი, როგორც სეოკის წევრი, სოლტ-ლეიკ-სიტიში უნდა გამგზავრებულიყო საინსპექციო მისიით.

● მსოფლიოს ექსჩემპიონს 100 და 200 მეტრზე რბენაში, გერმანელ კატრინ კრააბეს 1993 წლის აგვისტოს იააფ-მა ბრალი დასდო დოპინგის მიღებაში და დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. საკმაოდ მკაცრი განაჩენის მიუხედავად, სპორტსმენი არ გატყდა და თითქმის მთელი ორი წლის მანძილზე იბრძოდა თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. და აი ცნობილი გახდა, რომ მიუნხენის სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია იააფის გადაწყვეტილება და გაამართლა ექსჩემპიონი. ეს კი არა, სასამართლოს გადაწყვეტილებით კრააბეს კომპენსაციის სახით უნდა გადაუხადონ 7 მილიონი მარკა (დაახლოებით 2,7 მილიონი დოლარი).